2020 წელი

ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი" ყოველწლიური ბიულეტინი

ჰერა HERA XXI

სარჩევი

წინასიტყვაობა..... 3

ადვოკატირება..... 5

გენდერზე ორიენტირებული მიდგომა..... 9

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებები: ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები..... 10

ახალგაზრდების გაძლიერება..... 14

ჩვენი მოხალისეები და აქტივისტები..... 17

პოზიციონირება სოციალურ მედიაში..... 19

Covid - 19 გამოწვევები და საჭიროებები..... 21

წინასიტყვაობა

მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, 2020 წელი კოვიდ-19 პანდემიის გამო, ზოგადად ჯანმრთელობის სფეროსთვის, კონკრეტულად კი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის დიდ გამოწვევად იქცა.

შემცირდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახა მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებზე, კერძოდ: სოფლად და გარეუბანში მცხოვრებ ახალგაზრდებზე; სიღარიბეში მცხოვრებ გოგონებსა და ბიჭებზე; ფერტილური ასაკის ქალებზე; იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე და ა.შ. გაიზარდა სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის რისკი საქართველოში, რომელმაც განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფი (ქალები და გოგონები) დააზარალა. მათ შორის, გაჩნდნენ ე.წ. "უხილავი მსხვერპლნი", რომელთა იდენტიფიცირება სამართალდამცავების მხრიდან დღევანდელ რეალობაში ვერ ხერხდება. მოწყვლადი ჯგუფები უფრო დაუცველები და მარგინალიზებული გახდნენ.

ნინო წულეისკირი, ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" დირექტორი

აღნიშნულ ჯგუფებს უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ წვდომა ინტერნეტზე ან ის, რაც აქვთ-უხარისხოა, ვერ იძენენ თანამედროვე ტექნიკას, დაბალია მათი გამოყენების ცოდნაც, შესაბამისად, ისინი მოწყვეტილები არიან თანამედროვე, უახლეს ინფორმაციას და ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა" არსებული პანდემიის პირობებში იმუშავა მიზანმიმართულად და უზრუნველყო, ყველა მის მოხალისეს, ორგანიზაციის წევრსა თუ ბენეფიციარს (ქალაქად თუ სოფლად) ჰქონოდა წვდომა კეთილგანწყობილ გარემოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალხარისხიან სერვისებზე, ყოვლიმომცველ სანდო ინფორმაციაზე და უპასუხა მათ საჭიროებებს.

მოხალისეებმა და თანამშრომლებმა ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიეთ იმას, რომ პანდემიის გამოწვევა გამხდარიყო ორგანიზაციისთვის წარმატებისა და პროგრესის მომტანი. ყველა უფასო სერვისი (ექიმ-რეპროდუქტოლოგის, იურისტისა და სოციალური მუშაკის) იყო და არის ხელმისაწვდომი (ონლაინ, ცხელი ხაზის/სატელეფონო კავშირითა და მუდმივი კავშირით თემთან), მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში (წეროვანი, წილკაანი და ფრეზეთი).

წარმატებად მიგვაჩნია პროგრამების შეუფერხებელი მუშაობა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება, პროგრამების უწყვეტი შესრულება, ადაპტირება კრიზისულ პირობების შესაბამისად და მდგრადი, უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება/გაძლიერება.

სამომავლოდ, 2020 წლის გამოწვევების გათვალისწინებით (პანდემიის შემდგომ ეტაპზე), ჩვენ მივყვებით ასოციაციის ღირებულებებს და ვაგრძელებთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და ახალგაზრდების გაძლიერების რეალიზებისთვის, მიზანმიმართულ საქმიანობას.

საზოგადოების ჩართულობას ამ საქმიანობის ყველა ეტაპზე ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, გადაუდებელი ზომებიდან სტრატეგიულ და გრძელვადიან რეაგირებამდე.

ჩვენ ვაგრძელებთ წინსვლას ბენეფიციარების ისტორიებით, ინოვაციური იდეებით, მოხალისეებისა და აქტივისტების მხარდაჭერით, ახალი გზების ძიებით, საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით!

ადვოკატირება

2020 წელს პანდემიის პირობებისა და გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასოციაცია "ჰერა ოცდაერთს" შეუფერხებლად გაეგრძელებინა სრჯუ-ს შესახებ ადვოკატირება, როგორც ეროვნულ და ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ადვოკატირება ეროვნულ დონეზე

- „ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრის" სტატუსით, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტსა და ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა **,,საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტი 2020-2030 წლებისთვის"** და **„სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025",** რომელშიც ასახულია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნები და ამოცანები;
- სახელმწიფო ანტიკრიზისულ მექანიზმებსა და სამოქმედო გეგმებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების მინიმალური პაკეტის ჩართვის ადვოკატირების ფარგლებში ასოციაციამ შეიმუშავა პოზიციის ფურცელი: ჰუმანიტარული კრიზისის დროს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე

- ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" ხობის, ახალციხისა და ქუთაისის ახალგაზრდული ჯგუფები მონაწილეობდნენ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ახალგაზრდულ ფორუმებში, მუნიციპალიტეტთან და ახალგაზრდული კუთხით მომუშავე სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;
- ახალგაზრდული კომპონენტის თანამშრომლობით/სტრატეგიული შეხვედრის ფარგლებში ქუთაისის მერიასთან მოხდა შეთანხმება მომავალი თანამშრომლობისა და საჭიროებების შემთხვევაში ხელშეწყობის თაობაზე;
- წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად დაიდენტიფიცირდა მუნიციპალიტეტის საჭიროებები.

ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე

- ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი" იყენებს საერთაშორისო მონიტორინგის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: **CEDAW** (კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ), **ICCPR** (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება.) **UPR**

(უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა) და უზრუნველყოფს აქტიურ ადვოკატირებას საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით;

- უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლის ფარგლებში, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი" აქტიურად იყო ჩართული, როგორც ინდივიდუალური, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კოალიციური ადვოკატირების პროცესში.

  მესამე ციკლის ფარგლებში მიმდინარე წელს ორგანიზაციამ წარადგინა ერთი ინდივიდუალური ანგარიში, სექსუალური უფლებების ინიციატივასა (SRI) და კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის თანამშრომლობით, და ორი კოალიციური ჩრდილოვანი ანგარიში სრჯუ პლატფორმასთან თანამშრომლობით. ასოციაციის მიერ წარდგენილი ანგარიშები ფარავს შემდეგ თემებს: პირველადი ჯანდაცვის სისტემა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, გენდერული ნიშნით ძალადობა, უსაფრთხო აბორტისა და ოჯახის დაგეგმვის ხელმისაწვდომობა. ადამიანთა უფლებების საბჭოს სხდომაზე სახელმწიფოს ანგარიშის განხილვის შემდგომ, წევრმა სახელწიფოებმა წარადგინეს 9 რეკომენდაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემაზე.
- ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა, როგორც ეროვნულ პრესესიაში საქართველოსთვის, სადაც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ორგანიზებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს წარუდგინეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ მოხსენებები, ასევე ბილატერულ და მულტილატერულ შეხვედრებში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

განათლება

ასოციაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოდგენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა საქართველოში.

არაფორმალური განათლება

- თანასწორ-განმანათლებელთა მომზადების პროგრამის ფარგლებში 41-მა ახალგაზრდამ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან გაიარა ონლაინ ვებინარები, რომელიც ეყრდნობოდა UNESCO-ს ახალ ტექნიკურ სახელმძღვანელოს „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“. კურსის გავლის შემდეგ ეტაპზე 12-მა თანასწორგანმანათლებელმა აიმაღლა ტრენერული უნარ-ჩვევები;
- COVID-19-ის მიერ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თანასწორგანმანათლებელთა მიერ ჩატარებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები მიმდინარეობდა როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ სივრცეში. ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ 10-მა თანასწორგანმანათლებელმა ჩაატარა 143 ონლაინ და პირისპირ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესია საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში.

- დისტანციური ონლაინ სემინარების მეშვეობით გადამზადდნენ ჟურნალისტები და სოციალური მუშაკები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემაზე, პროფესიული კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ფორმალური განათლება

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან დამყარებული პარტნიორობის ფარგლებში ჩატარდა ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველებისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა

საჭიროებების კვლევა და აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა, ადაპტირდა ეროვნული სტანდარტი.

კვლევები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული კვლევები, იძლევა ღირებულ მონაცემებს, საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გენდერული ნიშნით ძალადობის გარემოს შესახებ მოწყვლად ჯგუფებსა და ახალგაზრდებში, ასევე პირველადი ჯანდაცვის კუთხით არსებული ვითარებისა და COVID 19-ის პანდემიის პირობებში სამოქალაქო სექტორის მზაობის შესახებ.

გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალების გამოცდილებებისა და საჭიროებების კვლევა სექსუალური და გენდერული ძალადობის, სრჯ საკითხების, ორსულობის შეწყვეტისა და ოჯახის დაგეგმვის მიმართ შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის მომიჯნავე სოფლებში.

პირველადი ჯანდაცვა საქართველოში - სისტემის ანალიზი და რეკომენდაციები რეალური ცვლილებებისთვის

COVID 19-ის პანდემიის პირობებში CSO სექტორის რესურსებისა და საჭიროებების კვლევა

პარტნიორი ორგანიზაციების ბენეფიციარების გამოცდილებების, საჭიროებებისა და დამოკიდებულებების კვლევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით.

გენდერზე ორიენტირებული მიდგომა

COVID-19 პანდემიის პირობებში გაიზარდა ქალებისა და გოგონების მიმართ არსებული რისკები, რაც განპირობებულია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიწოდების მიმართ ყურადღების ნაკლებობით და შეზღუდვების ფონზე, ოჯახში ძალადობის გაზრდილი მაჩვენებლით.

აუცილებელია, ძალადობის მსხვერპლმა გოგოებმა და ქალებმა იცოდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული არსებული დამცავი მექანიზმების, ხელმისაწვდომი სოციალური და სხვა სახის დახმარების სახეების შესახებ.

ამ კუთხით, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ განავითარა იურიდიული მომსახურების სერვისი, 2020 წლის განმავლობაში სულ ჩატარდა 170 კონსულტაცია, რომელთა სამართლებრივი ანალიზის შედეგად, უნდა აღინიშნოს, შემდეგი კონკრეტული შემთხვევები:

- მოქალაქეებს აქვთ პრობლემები ზოგადად ჯანმრთელობის და კერძოდ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უმაღლესი სტანდარტის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით;
- იურიდიულ კონსულტაციებზე მაღალია მომართვიანობა ოჯახის დაგეგმვასთან, კონტრაცეფციასთან, სელექციურ აბორტთან, ხელოვნურ განაყოფიერებასთან და სტერლიზაციასთან დაკავშირებით;
- კონსულტაციების უმეტესობა მოიცავს ოჯახში ძალდობას, ფსიქოლოგიურ ძალადობასა და გენდერული ნიშნით ძალადობას. სამართლებრივი კონსულტაციები თემატურად შეძლება სხვადასხვაგვარად დაჯგუფდეს: პირველი, როდესაც ძალადობა ხდება ოჯახში არასრულწლოვანების თანდასწრებით, მეორე - როდესაც ძალადობა განპირობებულია გენდერული ნიშნით. ასეთი ფაქტების დროს მოძალადის და მსხვერპლის განცალკავება აუცილებელია;
- სამედიცინო დაწესებულებებთნ არსებული პრობლემები;

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებები: ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფია იძულებით გადაადგილებული ქალები და ახალგაზრდა გოგონები, 2020 წელს მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სოციალური მუშაკის მიერ გაწეული საქმიანობა წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის მოსახლეობასთან. თავდაპირველად, გამოვლინდა მოსახლეობის საჭიროებები და გამოწვევები ფოკუს ჯგუფების მეშვეობით (წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის დასახლებებიდან გამოიკითხა დევნილი ქალები და ახალგაზრდები) აგრეთვე, დეტალურად აღიწერა მოსახლეობა და დასახლებები არსებული ინფრასტრუქტურის, განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით.

ქალების ძირითად გამოწვევებს წარმოადგენდა ძალადობის სხვადასხვა ფორმები: სიტყვიერი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა და უგულებელყოფა. ასევე, უნდა აღინიშნოს, გენდერული ნიშნით ძალადობა, რომელიც მწვავე საკითხია დასახლებებში, ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებებისადმი ნდობის ნაკლებობა (ექიმის კვალიფიკაცია, სამედიცინო აპარატურის არქონა, კონფიდენციალურ და ანონიმური სივრცეზე ხელმიუწვდომლობა), ეკონომიკური ბარიერები (სიღარიბე, საცხოვრებელი გარემო და ადექვატური ცხოვრებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობების სიმცირე, პირადი ჰიგიენისა და სივრცის არარსებობა).

ახალგარზდა გოგონების ფოკუს ჯგუფებში იდენტიფიცირდა შემდგომი საჭიროებები: ინფორმაციის ნაკლებობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე; ოჯახის დაგეგმვის, თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდებისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის ნაკლებობა; არაფორმალური განათლების კუთხით, დასახლებებში ახალგარზდებს ხელი არ მიუწვდებათ მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვან და საჭირო სპორტულ და სახელოვნებო წრეებზე.

სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ სოციალურ მუშაკს აქვს აქტიური კომუნიკაცია ბენეფიციარებთან, მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით. შესაბამისად, გამოწვევების იდენტიფიცირების შემდგომ აკავშირებს ბენეფიციარებს მათზე მორგებულ კონკრეტულ სერვისებთან. ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ ბენეფიციარებს სთავაზობს ექიმ-

რეპროდუქტოლოგისა და იურისტის უფასო პირისპირ, ონლაინ კონსულტაციას. აღნიშნული ხელს უწყობს რეპროდუქციულ სამედიცინო სერვისებზე (ოჯახის დაგეგმვა, თანამედროვე კონტრაცეფციული საშუალებები, ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები, უსაფრთხო სექსუალური კავშირი, სქესორივი გზით გადამდები დაავადებები) ხელმისაწვდომობას, იურისტის მიერ უფლებების დარღვევების ჭრილში (ქალისა და კაცის თანასწორობა, ოჯახში ძალადობა, რეპროდუქციული და სექსუალური უფლებები და ინფორმირებული არჩევანი) რჩევების მიღებას. აღნიშნული სერვისები მიეწოდება ახალგაზრდა გოგონებსა და ქალებს მათი ინტერესების გათვალისწინებით. ექიმ-რეპროდუქტოლოგის კონსულტაციის შემდგომ, სოციალური მუშაკის მხრიდან, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება კონტრაცეფციული საშუალებების გაცემა/მონიტორინგი.

წეროვანი

7027
მოსახლე, მათ შორის 460 შშმ პირი და 133 სოციალურად დაუცველი

2000
კოტეჯი

განათლება

ფუნქციონირებს სკოლა, სადაც 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობს

ფუნქციონირებს ბაგა-ბაღი, სადაც 500-ზე მეტი ბავშვია არღიცხული

ასევე არსებობს,საჯარო ბიბლიოთეკა ახალგაზრდული სახლი სპორტ-სკოლა

ინფრასტრუქტურა

წეროვანის დევნილთა დასახლებაში, გზა გაყვანილი და დაგებულია გარე უბნებში

!! წეროვანში პრობლემაა: კანალიზაციის გამართულობა, წყლის მიწოდების გრაფიკი დაწესებული

წეროვანის დასახლებაში თბილისიდან დადის ტრანსპორტი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი წეროვანის დასახლებაში არ არის

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ამბულატორიული დაწესებულება და პოლიკლინიკა დაქირავებულ კოტეჯშია განთავსებული. თუმცა, **სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა პრობლემურია.**

დასახლებაში ერთ მოსახლეზე გამგეობისაგან წელიწადში გამოყოფილია 300-500 ლარი სამედიცინო პროცედურების ჩატარებისათვის.

დევნილთა სოციალურ პაკეტში გაწერილია სხვადასხვა დაავადებები, ამ პაკეტში მნიშვნელოვანი პროექტია ახალშობილების დაფინანსება 300 ლარის ოდენობით, ნებისმიერ ახალშობილზე

ფრეზეთი

1100
მათ შორის, 45-50 შშმ პირი

300
კოტეჯი

განათლება

ფუნქციონირებს სკოლა, სადაც 83 ბავშვი სწავლობს

ფუნქციონირებს ბაგა-ბაღი, სადაც 32 ბავშვია არღიცხული

ინფრასტრუქტურა

შიდა გზები არ არის ასფალტირებული

!! დასახლებაში მწვავედ დგას წყლის პრობლემა

დაგეგმილია ახალი ბაგა-ბაღის გახსნა. ფუნქციონირებს სტადიონი, თუმცა მოიწესრიგებელია. არის სკვერი და ატრაქციონები

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

- გადადუებელი ოპერაციები ფინანსდება 500 ლარის ოდენობით
- 45 ლარიანი დახმარება ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს
- სხვადასხვა კლინიკის წარმომადგენლები ჩამოდიან დასახლებაში
- !! დასახლებაში არის აფთიაქის აუცილებლობა

წილკანი

1370
მოსახლე (4 შშმ პირი)

400
კოტეჯი

განათლება

ფუნქციონირებს **საბავშვო ბაღი**

სადაც 62 ბავშვი ირიცხება

არ ფუნქციონირებს სკოლა

100-ზე მეტი ბავშვი დადის წეროვანის სკოლაში, მათ ავტობუსი ემსახურებათ

არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ინფრასტრუქტურა: გზა დაგებულია მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე, პრობლემურია გარე განათების, სანიაღვრე არხებისა და წყლის საკითხი

არის პოლიკლინიკა, ოჯახის ექიმი და ექთანი. ოჯახის ექიმი მამაკაცია, ამიტომ ქალებს უჭირთ სრჯ საკითხებზე საუბარი და სერვისისთვის თბილისში მიდიან

არის ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც, მაგრამ, გამგებელი ამბობს, რომ ხალხი მიეჩვია და 112-ში რეკავს

ახალგაზრდების გაძლიერება

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ საქმიანობის წარმართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ახალგაზრდებს.

2020 წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ დანერგა ახალგაზრდებზე ორიენტირებული მიდგომა (YCA), რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას ორგანიზაციის საქმიანობის ყველა დონეზე. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

- გადაიხედა ახალგაზრდული პოლიტიკა და აისახა კონკრეტული ცვლილებები მიდგომის სპეციფიკიდან და მოხალისეების შეხედულებებიდან გამომდინარე;
- ჩამოყალიბდა მენტორთა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის გამოცდილ და ახალ წევრებს შორის კომუნიკაციასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

კამპანიები

წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი”-ის ინიციატივითა და მხარდაჭერით განხორციელდა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი მასშტაბური კამპანიები:

- 28 მაისი - ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს, სოციალური მედია კამპანიის ფარგლებში, ასოციაციამ გამოხატა მხარდაჭერა „მე მაქვს უფლება“ დევიზით;
- 12 აგვისტო - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს გაიმართა პროექტ „ლიდერი გოგონები ჯანსაღი ცხოვრებისთვის “ დასკვნითი

ღონისძიება, რომელსაც წინ უსწრებდა ჯანსაღი ცხოვრების თემატიკაზე გამართული 7 LIVE სესია. თითოეულ სესიას პირდაპირი ეთერის განმავლობაში მთლიანობაში საშუალოდ ესწრებოდა 97 ადამიანი, ხოლო პოსტების ნახვადობა აღწევდა 10 000 - ზე მეტს;

- 26 სექტემბერი - კონტრაცეფციის საერთაშორისო დღეს 12-მა სოციალურმა მუშაკმა აიმაღლა ცოდნა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით;
- 28 სექტემბერი - უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეიქმნა ინფოგრაფიკები და სტატიები ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- 11 ოქტომბერი - გოგონათა საერთაშორისო დღეს შესრულდა ქუჩის მხატვრობა ახალციხეში მოწოდებით: „შექმენი შენი მომავალი სტერეოტიპების გარეშე "; შედგა შეხვედრა წილკანის, ფრეზეთისა და წეროვანის ახალგაზრდებთან, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომში დევნილთა ახალგაზრდული ჯგუფის ჩამოყალიბებას. ქუთაისის ახალგაზრდული ჯგუფის მიერ გამართული შეხვედრა მიზნად ისახავდა ახალგაზრდა გოგონებისათვის მოტივაციის მიცემას;
- 25 ნოემბერი - მოხალისეებმა შეაგროვეს ახალგაზრდების ისტორიები ძალადობრივი გამოცდილების შესახებ, რომლის გაჟღერებამაც ასოციაციის სოციალური ქსელის მეშვეობით, საზოგადოებამდე მიიტანა თანამედროვე ახალგაზრდების გამოწვევები;

- 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნაჩვენები იქნა ორგანიზაციის მიერ მომზადებული რეპორტაჟი, რამაც თვალსაჩინო გახადა, თუ რა შეიცვალა შშმ ქალებისთვის კორონავირუსის პანდემიის გამო გამოწვეული იზოლაციისას.
- 10 დეკემბერი - ასოციაციის ახალგაზრდული ქსელის ინიციატივით გამართული დებატების ტურნირის შედეგად, ახალგაზრდებმა აიმაღლეს ცნობიერება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თემაზე.

ჩვენი მოხალისეები და აქტივისტები

„ჰერა ოცდაერთი" ჩემთვის მეორე სახლია. აქ, გაქვს საშუალება, დაინახო შენი სუსტი და ძლიერი მხარეები, აქ, მუდამ რაღაც ახლისა და სასარგებლოს ძიებაში ხარ. ამ ორგანიზაციამ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, საკუთარი თავისა და გარშემომყოფებისთვის, იყო აქტიური მოქალაქე და გახდე ცვლილებების ინიციატორი. „ჰერა ოცდაერთი"- არის ასოციაცია, სადაც შენ ხვდები, რომ ხარ ინდივიდი, რომელსაც შესწევს უნარი, დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში."

მაკა კობახიძე, ხობის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერი

"მენტორობის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პროდუქტიული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ ტრენინგებით გადაღლილი ვიყავი და აღარც მოტივაცია მქონდა, ამ პროექტმა კიდევ ერთხელ მომცა ის ძალა, რომ ეს რთული პერიოდიც საკუთარ თავზე მუშაობით გადამელახა. მენტორობის შესწავლისას, არამხოლოდ სამენტიე პირებთან ურთიერთობის დამყარებაზე დავფიქრდი, არამედ, ზოგადად, რა სახის კომუნიკაციებს ვანიჭებდი უპირატესობას. ჩემთვის მენტორობა კიდევ ერთი გამოწვევა გახდა, რომელმაც ჩემს პიროვნებას შესძინა მეტი ენთუზიაზმი."

თათია თათოშვილი, *ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის" ახალგაზრდა მენტორი*

ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა მთელი წლის განმავლობაში უამრავი ღონისძიება განახორციელეს. პირადად მე, საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები ახალგაზრდებთან ონლაინ რეჟიმში ჩავატარე. ეს ჩემთვის მეტად საინტერესო და პროდუქტიული აღმოჩნდა - ჯერ თავად მივიღე ცოდნა და გამოცდილება TOT პროგრამისა და თემატური სესიების მეშვეობით, შემდეგ კი, თანატოლ ახალგაზრდებს გავუზიარე არსებული ცოდნა და გამოცდილება. საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების დროს შეხება მქონდა არანაკლებ 30 ახალგაზრდასთან. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე, როგორც თანასწორმა თანასწორთან მუშაობის გზაზე."

სოსო ფხაკაძე, *ასოციაციია „ჰერა ოცდაერთის" თანასწორგანმანათლებელი*

„ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" ახალგაზრდული ქსელის "ფეისბუქ" გვერდს მისი შექმნის დღიდან ვუწევ ადმინისტრირებას. ამ ხნის განმავლობაში, ამ გვერდზე განთავსდა მრავალი მასალა როგორც აკადემიური და შემეცნებითი ხასიათის, ისე კონკრეტულად ჩვენი საქმიანობის აღწერასა და ახალგაზრდების გაძლიერებაზე ორიენტირებული.

ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" სოციალური მედიის მართვა საინტერესო გამოცდილება იყო ჩემთვის. გარდა იმისა, რომ პროექტების, პროგრამებისა და კამპანიების, რომელთა ორგანიზაციაშიც აქამდე თავადვე ვიყავი ჩართული, ონლიან სივრცეში გადმოტანა შევძელით, ამასთანვე, მნიშვნელოვანი იყო სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ვიზუალიზაცია, შემდგომ კი, სოციალურ მედიაში გადმოტანა ".

ბარბარე ჯანაშვილი, *სოციალური ქსელის მართვის ასისტენტი*

პოზიციონირება სოციალურ მედიაში

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ბაზაზე ფუნქციონირიებს: ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, ვებ-გვერდი მშობლებისთვის, ვებ-გვერდი მასწავლებლებისთვის, ინოვაციური მობილური აპლიკაცია მშობლებისთვის. გარდა აღნიშნული ვებ გვერდებისა და მობილური აპლიკაციისა, ასოციაცია “ჰერა ოცდაერთი” დასახული მიზნების ეფექტურად მისაღწევად იყენებს ისეთ სოციალურ მედია არხებს, როგორებიცაა: Facebook, Linked-In, TWITTER.

2020 წელს ასოციაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა **ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ქსელის** Facebook გვერდი, რომლის მიზანია ახალგაზრდულ სფეროში მიმდინარე სიახლეების, გამოცდილების გაზიარება და ახალგაზრდების მხარდაჭერის გაძლიერება. გვერდს მართავენ სპეციალურად გადამზადებული ახალგაზრდული ჯგუფის წარმომადგენლები. ისინი იძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია მათი კარიერული ზრდისა და განვითარებისთვის.

2020 წლის განმავლობაში ახალგაზრდული ქსელის მეშვეობით მენტორებმა სამენტორო პირებსა და დანარჩენ ახალგაზრდებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, გააშუქეს ახალციხესა და ქუთაისში მიმდინარე კამპანიები, ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერებს მიეცათ საშუალება, გაეჟღერებინათ საკუთარი ხმა,სოციალური გვერდის ასისტენტებმა შექმნეს ინფოგრაფიკები, რათა აუდიტორიისათვის თვალსაჩინო გაეხადათ ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევების ძირითადი მიგნებები.

„ჰერა ოცდაერთი”-ის ახალგაზრდული ქსელი მუდმივად მზადაა დაუთმოს საკუთარი პტლატფორმა ინოვაციურ ინიციატივებს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდებსგააჟღერონ საკუთარი ხმა.

ამბის თხრობა – შეიქმნა ცოცხალი ისტორიები სხვადასხვა თემაზე, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობაზე, ოჯახის დაგეგმვაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების ცხოვრებაზე და სხვა. ეს არის ის ამბები, რაც ჩვენ გარშემო ხდება და მისი მთავარი მისიაა, ისტორიების გაზიარებით, გაიზარდოს საზოგადოების პასუხისმგებლობა ამ საკითხების მიმართ.



Covid - 19 გამოწვევები და საჭიროებები

Covid-19 გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისი ყველა სფეროს შეეხო, მისმა გავლენამ ფორმალური და არაფორმალური განათლების, სერვისის მიწოდების სფეროზეც გააჩინა გარკვეული გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვდა დროული ქმედებების განხორციელებას, რათა არ შეწყვეტილიყო განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების ეფექტური მიწოდება. კონკრეტულად, საჭირო გახდა საქმიანობის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა და აქტივობების ონლაინ სფეროში გადატანა, ფოკუსირება სერვისის დროულ მიწოდებაზე, ქალებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთს“ გააჩნდა ონლაინ არხებისა თუ პლატფორმების გამოყენების გამოცდილება ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელების პროცესში, ამიტომ მისთვის რთული არ აღმოჩნდა 2020 წელს Covid-19 -ის პირობებში ეფექტურად გაერთვა თავი დასახული მიზნისათვის, ამ კუთხით, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“:

- 41-მა ახალგაზრდამ გაიარა თემატური ვებინარები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე;
- 12-მა მონაწილემ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან გაიარა სექსუალური და რეპროდუქციული საკითხების თემაზე ტრენინგი და გახდა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ თანასწორ-განმანათლებელი;
- 10-მა თანასწორ-განმანათლებელმა ჩაატარა ონლაინ დ პირისპირ საინფორმაციო სესიები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თემებზე, სულ - 263 ახალგაზრდასთან;
- ჩატარდა ტრენინგი კვლევით ინსტრუმენტზე, რომელსაც ესწრებოდნენ ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ჯგუფების წარმომადგენლები, მენტორები და თანასწორ-განმანათლებლები.
- 6 -მა ახალგაზრდამ შეიძინა ცოდნა და აიმაღლა უნარ-ჩვევები მენტორობაში, რის შემდეგაც გამოიყენა „ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ქსელის” პლატფორმა საკუთარი ცოდნის გასაზიარებლად;
- გადამზადდა 4 ახალგაზრდა სოციალური მედიის მართვის საკითხებში;
- ექიმ რეპროდუქტოლოგისა და იურისტის ონლაინ პირისპირ კონსულტაცია მიმდინარეობდა ყოველკვირეულ რეჟიმში;
- ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი” უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფებისთვის კონტრაცეფციის გაცემასა და მიწოდებას უფასოდ;

- გააძლიერა პარტნიორობა საქართველოს ოთხი რეგიონის კლინიკებთან სერვისის მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.



ᲰᲔᲠᲐ HERA XXI

კონტაქტი

http://hera-youth.ge

https://www.facebook.com/AssociationHera XXI/

https://twitter.com/assosiationhera

ტელ: 2 14 28 51

ცხელი ხაზი: 2 01 12 21

ქ. თბილისი გამსახურდიას გამზ IIკვ შენობა 9 ბ 2